



# თეატრი და სპორტები

ათაყვრთ სალიცრატორთ აქრნალი

„თეატრი და სპორტების“ რედაქცია მოთავსებულია ქართულ თეატრის კანტორაში. სარედაქციო მუშებზე მოლაპარაკება—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს. აქვე მიიღება ხელის მოწერა.

წლიურად 5 მ., წლის ბოლომდე 4 მ., მასიდან 3 მ. 20 კ. მისამართი: Тифлисъ. Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ იოსიფუ იმედაშვილი. ტელეფონი № 7-95.

№ 12.—1914. უახსნი 10 კ. კვირა, 25 მაისი.



პეტრე უშიკაშვილი  
 აცვალებიდან 10 წლის  
 შესრულების გამო



მომღერალი ივ. სარაჯიშვილი  
 ამ ზაფხულს (1 მაისიდან 1 ენკენის-  
 თევზდე) მიწვეულია „ახალ კლუბში“  
 სიმფონიურ კონცერტებზე.



დესპინე ივანიძე  
 გარდაიცვალა 20 მაისს ქუ  
 თაისში.





- |  |    |
|--|----|
| 1) ყრილობისათვის მოვემზად-<br>ნეთ, მუთაურა                               | 1  |
| 2) ხელოვნების ახალი ტაძარი<br>ოზურგეთში                                  | 2  |
| 3) არა, მარტო არ ვარ! (ფსი-<br>ხოლ. ვტილდი). ჯვ. კი-<br>ლასანიას         | 2  |
| 4) დესპინე ივანიძე, შ. დ-ნის   | 3  |
| 5) ღია კარი, შაფვა დადიანის  | 3  |
| 6) კ. მესხის ხსოვნას, ლექსი<br>მთის ნაფისა                               | 4  |
| 7) როდის იქნება?? ვ. ალანასი   | 4  |
| 8) ქართული თეატრის მოკლე<br>ისტორია, ივ. გამარტაძის                      | 5  |
| 9) ქართველი მსახიობის თან-<br>დათან გაპროფესიონალება<br>ა. გუდგენაშვილის | 6  |
| 10) დრამატიული საზოგადოება<br>და მისი გამგეობანი, სკაპა-<br>მუნისა       | 7  |
| 11) ვერსად, ვერას დროს! ლექს-<br>სი, გ. ტანიძის                          | 8  |
| 12) ნოე ქორღანის ავადმყოფო-<br>ბის გამო ა—ის                             | 8  |
| 13) ვანთილზე, ლექსი იფ. რუსაძის  | 9  |
| 14) მუსიკა და ქართველი მემუ-<br>სიკენი, ა. შანაღვიძის                    | 10 |
| 15) სახალხო თეატრის მნიშვნე-<br>ლობა, ლ. ცაგარაძის                       | 11 |
| 16) ქიათურის სცენის აღორძი-<br>ნება, ს. გლახაშვილის                      | 13 |
| 17) მებოკილ მსახიობზე, გლახა<br>ხანასაძის                                | 14 |
| 18) წვრილი ამბები  | 16 |



სვიმონ ლეონიძე

(კ. ყიფიანი „სამშობლო“-ში)

თბილისის ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობა ვალ. ეუნის თათხნობით

**26 მაისიდან წარმოდგენებს გამართავს:**

გორს, ყვირილას, ქიათურას, ქუთაისს, ხონს, სამტრედიას, სენაკს, ფოთს, ბათუმს, ოზურ-  
გეთს, ლანჩხუთსა და შორაპანში.

**დასი:** ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ი. ბარველი, ვ. გუნია,  
დ. მგალობლიშვილი, ი. მამფორია, სარაული, პ. ფრანგიშვილი, ყალაბეგაშვილი, ვ. შალიკაშვი-  
ლი, ვ. ურუშაძე.

**რეპერტუარი:** „დედოფალი ქეთევან წამებული“, „მუშის პატიოსნება“, „ოჯახის გაუბედურება“.

პიესებს დასდგამს რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. სუფლიორი ბ. ბეგლარიძე. დასის წარმომადგე-  
ნელი ვ. ურუშაძე.





№ 12

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დროულად სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (სლორპანაძის სტამბაში). მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოს. იმედაშვილი.

ხელ-მოაწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. — რუბრიკატორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 12

კვირა, 25 მაისი

1914 წ.

25 მაისი

**ყრილობისათვის მოვემზადნეთ.**

ასოცი წლის წინად საქართველოს სამეფოს კარზე პირველად აიხადა ქართულ სახიობის ფარდა, მაგრამ ილა-შაჰმად ხანის რისხვამ იგი კარგახნობით ჩამოაფარა და მით ქართველთა ეროვნულ-კულტურული წინსვლაც შეაფერხა; სამოცდა ოთხის წლის წინად ხელახლად გაიღმა ქართულ სცენის მელობომენამ, ამავე დღიდან დაიბადა ეროვნული დრამა; ოცდა ოთხმეტის წლის წინად საძირკველი ჩაეყარა მულმივ ქართ. სცენას, ხოლო 8 ივნისს თბილისში პირისპირ შეგზვდებიან სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწენი, ურთიერთს გაუზიარებენ გულის ნადებს და მომავლისთვის შეთანხმებით სამოქმედოთ დაირაზმებიან.

ეს დღე ჩვენის თეატრის ცხოვრებაში ისტორიულ დღედ უნდა ჩაირიცხოს, ისეთ დღედ, როგორც იყო 1790 წ., 1850 წ. 2 იანვარი, 1879 წ. 5 სექტემბერი, ხოლო უფრო მრავალმნიშვნელოვანი, ბევრი სიკეთის აღმოქმედი...

აქამომდე თუ ქართულ სცენის მოღვაწენი ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად, ხშირად უწესრიგოდ, პირად შეხედულება — რწმენით მოქმედებდნენ, ახლა საერთო გეგმა უნდა შეიმუშაონ, როგორც ხელოვნურის, აგრეთვე იდეურის მხრით სრული...

ისტორიულმა ჩარხის ტრიანომ ჩვენი ერთი განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა, — ფრთა შეაკვეცა ერის სულიერ მისწრაფებათა ბუნებრივ გზით განმავითარებელ დაწესებულება — საშუალებათ — სკოლას, ეკლესიას, ოჯახს, ენას და სხ. დღეს-დღეობით ყველა ამათ მაგიერობას გვიწევს ჩვენი სამშობლო სცენა და სწორედ

ეს არ უნდა დაივიწყონ სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთ...

სწავლა-განათლებით და საზოგადოებრივ თვითცნობიერებით ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანას სცენა უნდა გაუძღვეს წინ; სცენამ უნდა შეიტანოს ხალხში სინათლის სხივი, ეროვნული იდეალები აღძრას, საერთაშორისო, უმაღლესი იდეები გრულელოს, აღამიანად წოდებული არსება კაცად აქციოს... სცენამ უნდა აღზარდოს ქეშმარიტი მოქალაქე, ზნეობრივ-გონებრივად და საზოგადოებრივი შემეცნებით სრულქმნილი...

დღემდე ყოველივე ამას ჩვენი სცენის ზოგიერთი მუშაკნი შეგნებით თუ შეუგნებლად ბინდ-ბუნდათ ჰგრძნობდნენ და ხშირად სცენიდან ცხოვრებაში თანმიყოლებით ვერ ავრცელებდნენ, დღეს ეს უკვე საერთო სახელმძღვანელო კანონად, მოქმედების დედა-აზრად უნდა დაიდვას...

ამ ყრილობამ უნდა ჩაჰყაროს ჩვენის კულტურული აღორძინების მკვიდრი საძირკველი და ქართული თეატრის ცხოვრებაში ახალი ხანა შექმნას... ყველამ ერთისთვის და ერთმა ყველასთვის ხელი-ხელს უნდა მივსცეთ და ჩვენის პაჭარა, მრავალტანჯულ, მაგრამ ლამაზ და სიცოცხლის მწყურვალ სამშობლოს ყოველ კუთხეში ხელოვნების წმიდა ტაძარი აღვაგოთ...

ამ ყრილობას ბევრი სადღესო საჭირობოროტო საკითხი აქვს განსახილველი: სცენის მუშაკთა საერთოერთო დახმარებ საძმო კასა, მოხუც მსახიობთა თავშესაფარი, თვით განვითარების კურსები, დრამ. სკოლა და სხ., ყველის აქ არ ჩამოვლით, — ეს ქართული სცენის ყოველ გულშემატკივარს ცოტად თუ ბევრად





გათვალისწინებული აქვს, ჩვენ მხოლოდ მოვეუწოდებთ უკვე გაშქვეყნებულ გეგმის თანახმად მოგზაურობას და ყოველ საკითხს შესაფერი პასუხი ვასცენ.

დაე, ერთხელ მაინც უარგზავთ ჩვენებური მკონარობა, ქართველური გულგრილობა საზოგადო საქმეთადმი და 8 ოქტომბერი—სიგნალი მოდგაწათა ზარფაჟა ჟრაფობის დღე—დღე მნიშვნელოვან დღედ გადავაქციოთ...

სულით და გულით ვულოცავთ ჩვენს სამშობლო სცენას და მის უანგრო მუშაკთ ამ ისტორიულ დღეს: ვუსურვებთ მათი საქმიანობა მრავალნაყოფიერი შექმნილიყოს თვის სასებლოდ და ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოდ...

**ხელოვნების ახალი ტაძარი ოზურგეთში.** ახალი ხანა იწყება ოზურგეთის მკვიდრთა სათეატრო ცხოვრებაში.. ხუთშაბათს, 29 მაისს, აკურთხებენ ოზურგეთში გერმანე იოსებისძე გოგიტიძის თაოსნობით და ნოტარიუსის გრიგოლ ჩიჩუას და ნესტორ აბაშიძის დახმარებით გადაკეთებულ აშენებულ თეატრს. თეატრი ქვის შენობას წარმოადგენს, სცენას 15 არწინი სიგრძე აქვს, 10—სიგანე, სიმაღლე—7 არწი, დარბაზი 300 კაცს იტევს. ჯერ მხოლოდ პარტერია, 20 რიგად დაყოფილი; აქვს საკუთარი საელექტრონო სადგური, დეკორაციები (ქართულ თეატრის მხატვრის ნაღებაშვილისგან დახატული) და სხ. მოწყობილება, დაჯდა 14000 მან.

და ყოველივე ეს შესძლო ერთმა კაცმა—გოგიტიძემ თავგამოდებულ ამხანაგთა—ჩიჩუას და აბაშიძის—დახმარებით. გოგიტიძისა, მის ამხანაგთა და სხვათა მეცადინეობა ამით არა თავდება: აქვე არსდება დრამ. საზოგადოება, რომლის წესდებაც უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად. ოზურგეთი მოზრდილი ქალაქია, ხალხიც წყურვილით ეტანება წარმოდგენებს და სწორედ ესაა მიზეზი, რომ ხალხის სულიერ წყურვილის დასაკმაყოფილებლად შესაფერი ტაძარიც აშენდა...

მაგრამ მარტო შენობა არა კმარა, —საჭიროა შესაფერი დასი, თუნდა სცენის მოყვარეთა, და შესაფერივე რეპერტუარი, რომ ერთის მხრით ხელოვნების მოთხოვნილება

უტყუვრად შეასრულონ და მეორეს მხრით ხალხს ჭეშმარიტი საზრდო მისცენ...

იმედია, ამ თეატრის თაოსნები და მოწინავე პირნი, ინტელიგენცია და ხალხი, სიფიზლით გაუძღვება ნაკისრ საქმეს და თვის კულტურულ წინსვლას მით ხელს შეუწყობს...

ამ აზრით ოზურგეთელებს ვულოცავთ ამ ბედნიერ დღეს...



## არა, მარტო არ ვარ!

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

გაზაფხულია. ცა განუწყვეტლივ სტორის... მარტო ვიყავი... მივედი მეგობართან, და სულმა ექვების ღრუბლები გადაყარა... გამოვეთხოვე... დილის ხუთი საათია. ჩემის მეტი ქუჩაში არაინ არის. ოხ, ნუ თუ მარტო ვარ ისევე? არა, ჩემთან ერთად გაზაფხულის გრილი წვიმაა, რომელიც არ იშურებს თავის აღდრსს, მაგრად მეხვევა, სიხარულისაგან მიცრემლობს ლოყებს და მიმღერს ტკბილად, თუმცა ერთსა და იმავე სიმღერას.

არა, მარტო არ ვარ!

ნელ-ნელა მივდივარ სახლისკენ... ნუ თუ არ გავიგებ უცხო ხმას საკუთარ ფეხის რაკუნის და მოწაბვრებელ წვიმის სიმღერის გარდა? არა, მესმის, მესმის კიდევ! ყოვიან სინათლის გზირნი, ჰვალობს მფრინველთა მწყობრი გუნდი, და ეს გალობა—მათი უმანკო სულის დილის ლოცვაა.

არა, მარტო არ ვარ!

მივდივარ, სულ მივდივარ... მომზებრდა. რა შორს ყოფილა ჩემი სახლი! ან, იქნება, მარტო ვარ, და მიტომ მეჩვენება ესე?! არა, მე მომდევს თან ფეხ-და-ფეხ მეგობრის თქარი. ის ჩემთან არაა, მაგრამ ჩემზე ჰვიჭობს! ჰვიჭობს, როგორ ემოგზაურობს; უკვირდება დროს და ანგარიშობს, როდის მივალ სახლში, რათა იმავე დროს, როდესაც მე, გამოეთხოვოს ექვებით საფეხ სიქხადეს და მიეცეს დამამზიდებელ ძილს.

არა, არა, მარტო არ ვარ!

დავ. კოლოსანიძე



# † დესპინე ივანიძე



† დ. ივანიძე

ქართველ სცენის მუშაკთა კიდევე გამოაკლდა ერთი პატიოსანი და ერთგული მშრომელი წევრი.

დესპინე ივანიძე იყო აღმსრულებელი მოხუც დრამატიულ როლებისა და ამ მხრივ ზოგჯერ ისე მაღლდებოდა მისი ნიჭი, რომ წარუხოცელ კვალსა სტოვებ-

და მაყურებელის და მსმენელის გულსა და გრძნობაში. საკმაოა გაეისხნოთ მის მიერ გაპიროვნებული კაიუს გრაქუსის დედა კორნელია, რომ ჩვენი სიტყვა დასაბუღებული იყვეს.

დ. ივანიძე პირველად სცენაზე გამოიყვანა აწ განსვენებულმა კოტე მესხმა. ეს იყო 1891—1892 წლებში და მას აქეთია განსვენებული პირნათლად და გულ-მოდგინედ ემსახურებოდა სამშობლო სცენას, ხან ქუთაისსა და ხან თბილისში.

ის ჯერ არც ისე მოხუცებული ადამიანი იყო, მაგრამ ქართული სცენის მუშაკთა მწარე ხვედრმა—ხელმოკლეობამ და სიღარიბემ—მაღლე გასტეხა და უღროოდ დაავადყოფა. სამწუხაროდ დროზე ვერ იქმნა მიღებული შესაფერი ზომები და აი უკვე სამუდამოთ შეწყდა იმ გულის ძვერა, რომელიც საზოგადო საქმის სიყვარულით იყო გამთბარი.

განისვენე მშვიდათ, კეთილო, უწყინარო და სასარგებლო მუშაკო. **შ. დ-ნი**



## ლი ა კ ა რ ი

გულის,  
გულის!

ესეც...

დღეს უკვე ორმოცი წლის გავხდი.

ოთხი ათეული!

არ არის ზუმრობა ჩვენს დროში და ჩემსთანა კაცისათვის.

ეს უკვე ნახევარზე მეტი ხანაა ჩვენი ცხოვრებისა.—ჩემის ცხოვრებისა.

ჯერ თვითონ დანტეც ოცდაათი წლის ხნოვანებას სიკოცხლის ნახევარს ეძახის.

ოცდაათის იყო მისი საარაკო ჯოჯოხეთი რომ შეთხზა:

„ცხოვრების ნახევარი გზა რომ განვიღო, ხშირსა და დაბურულს ტყეში მოვხვდიო“.

აი პირველი პწყარი მისი პოემისა.

ჩვენს დროში ოცდაბუთი წელიწადი-კი შეიძლება ნახევრად ჩავთვალოთ.

მე კი ორმოცი შემისრულდა.

და ამ დილით რომ წამოვდექ... თითქო ვეგას მოდგმის ვიყვე... მაშინვე სარკეს მივმართე. არაფერი.

ისეთი ვარ, როგორც გუშინ... როგორც ამას წინათ, აგერ ახლამდი.

ყოველთვის მაკვირვებდა ერთი რამ: როგორ არ მიწახავს პატარძალი ჯვარის წერის, ქორწინების მეორე დღეს...

თითქო უშველებელი ცხოვრების საიდუმლო მხარე მის თვალის წინ მცხუნვარე მზის სხივებით განათდა, გადიწმინდა უტოღინრობის ნისლით მობურეული არე-მარე.

მაინც არაფერი.

უფრო ხშირად სახე-პირს და სხეულის ნაკეთიერებას არა ეტყობა-რა.

მეც ესე ვიყავ ამ დილით.

ოთხი ათეული ზურგსა მკიდა... ჰო, ამდენი ქირი, ამდენი ლხინი...

საჩემო, სამისო, საზოგადო.

მაინც მოძრაობს გული, ეს დაუდგრომელი მუშაკი, მაინც თბება ხეული სისხლით.

არ მენატრება, რომ ვიყო უფრო ახალგაზდა.

არც მეტი სიბერე მსურს. ესეც მართალია.

ჰმ—გინახავთ ჩემისთანა კმაყოფილი კაცი?! კმა...ყოფილი.

დიად, მე ვ-კმა-რობ მას, რაცა მაქვს, თორემ ისე,—„რა მოჰკლავს... წყურვილსა? ვინ შეაკვეცს ფრთას... სურვილსა“...

უმთავრესი სურვილი:

ჩვენი ხელოვნების აყვავება!

ჩვენ, ქართველებს, გვითქვამს შეიძლება,



მაგრამ უსათუოდ გვაქვს თავისი სათქმელი  
კაცობრიობაში.

ეს ღრმადა მწამს.

ეს... მაცოცხლებს.

და ნუ გვეშინია, რომ ამდენი პოეტია სა-  
ქართველოში, რომ გაგვიჩნდნენ მოცეკვავენიც...  
ჩვენს სამხრეთულ ბუნებას შესდგამს  
პოეზია.

და თუ ამაში მართლა კიდევ უფრო წინ  
წავალთ, თუ, ვთქვათ, კაცობრიობას მომავალში  
შევეძენით ხელოვნების ყოველ დარგში გმი-  
რებს და რჩეულებს...

თუ იტალიელობას გაუწევთ კაცთა ნა-  
თესვის დიდ ოჯახს...

ჩვენც სხვა ნუ ვცნობ.

ფრანგმა „ცას კრას კამარა“, მეცნიერე-  
ბის და ტექნიკის მწვერვალს მოველოს თავზე,  
ხოლო ამ ქვეყნად ისევ იყვებს „პირველი დარ-  
ღმანდა“, ინგლისელმა შექმნას საუკეთესო  
საზოგადოებრივი წეს-წყობილება... დეე, ილო-  
კოს რუსმა, გერმანელმა იანგარიშოს...

ჩვენც კიდევ, თუ ეს ნიშნობლივი ჩვენი  
თვისებაა, ვიყოთ რომანტიკოსები, პოეზიის  
ხალხი... ვიყვეთ ბავშვები ამდენ ჭკვიანებ შო-  
რის.

ჩვენ შევიტანთ სიცოცხლეს და სიხარულს  
დიდთა ცხოვრებაში... უმანკოებას და სულის  
სიფაქიზეს.

იაროს ცხოვრებამ თავის გაკვალილ გზაზე.  
ერთხელ აკაკიმ მიბრძანა:

— ყველამ თავისი საქე გააკეთოს. მაშინ  
ავლორძინდებით: იმღეროს სარაჯიშვილი, იე-  
ქიმოს გომართელმა, სწეროს წერეთელმა და  
შენც—იმუშავე სკენისათვისო!

— ყველამ თავისი გააკეთოს!

ბრძნული სიტყვებია.

და თუ ჩვენში პოეზიას, ხელოვნებას მე-  
ტი მუშაყი ეყოლება...

დღე, იყოს ეგრე. ეს ნუ შეგვაშინებს.  
ამითი არ დავიღუპებით.

— ბავშვს ფრთოსანი ანგელოზები მფარ-  
ველობენ.

ესე აქვს წარმოდგენილი საუკეთესო  
შხატვებს, საუკეთესო მწერლებს.

თვით ხალხს, მის წმინდა და უმანკო გულს.

კიდევ ბევრი რამ მეთქმის ამ ორმოცზე,  
მაგრამ კარგად ვარჩევ ჩემს მტერ-მოყვარე  
სკეპტიკებს... თავს იქნევენ:

— ორმოცი წლის შესრულდა და კიდევ  
ვერ მოჭკვიანებულაო!

აბა რალთ ვაწყენინო ამ საპატოო ადა-  
მიანებს და...  
წუმდები.

*რეკლამა*

## კ. მესხის ხსოვნას

ნეტავი ხეხილს ღრო არ ახმობდეს,  
მარად ვსტკებობდეთ მისი ხილითა!  
ნეტავი ყველას სულს არ აძრობდეს  
სიკვდილი, ბასრი ცელ-მახელითა!..  
ნეტავი... მაგრამ არვის იბრალებს  
ის უგრძობელი, ცივი, ოხერი.  
და ერთი ვარდი კიდევ დააქნო,  
კიდევ ატირდა, კიდევ ოხ! ერი...  
ატირდა, როგორც ნაძვი ტყის პირად,  
შვილის კუბოს წინ დედა-მშობელი!  
და ერის კენესამ მეც ამაკნესა,  
თუმც კრემლი არ მდის შეუშრობელი.

მთის ნიავი

## როდის იქნება?...

როდის იქნება—ადამიანს თავისი „მე“  
ლოზუნგად არ ჰქონდეს დასახული??

როდის იქნება — ვაჟაკი ღირსეული,  
ხა ხისთვის მოჭირნახული, ეკლის გვირგვინის  
მოლოდინში, — სიმართლის მაძიებელი, — დაფ-  
ნის გვირგვინით შემკობილი??

როდის არ იქნება, ერთის მხრით უზომო  
ზეიმი, გაუმაძღრობა, ხტუნაობა, სიცილი-ხარ-  
ხარი, — მეორეს მხრით: სიმშლილი, ტირილი, კვნე-  
სა, მოთქმა-ვაება?!

როდის არ იქნება — ერთის ბედნიერება  
მეორეს უბედურებაზე აგებული??

როდის იქნება, ქალი-დედა — თვის წმინდა  
მოვალეობის აღმსრულებელი, შინ სპეტაკი-  
პატიოსანი, ღირსეულ შვილის აღმზღელი, —  
ქმარი — გარდ მებრძოლი, ადამიანის სახელის  
მატარებელი??

როდის იქნება, როდის???

ვახ. აღანია





ლმ. ყიფიანი



გ. ერისთავი



ივ. კერეგელიძე

ქართული თეატრის მოკლე ისტორია

მეთვრამეტე საუკუნე ერთი შეგნელი ხანა ჩვენს ისტორიაში, მაგრამ ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი მინც არიტებს და გულს და წინსვლელობისაკენ მიისწრაფოდა.

ამდროს ევროპაში თეატრს დიდი გავლენა ჰქონდა და ჩვენშიც დაიბადა სურვილი საკუთარი ეროვნული თეატრის შექმნისა. ამას ჰმოწმობს უცხო დრამატურგების ის თარგმანები, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნეს ეკუთვნიან...

ჩვენი ცხოვრების ჩარბი ისტორიამ სხვა-ნაირად შეატრიალა. უცხო მთავრობის შემოსვლას ჩვენში ჯერ ვადაქარბებული იმედები მოჰყვა, შემდეგ სასოწარკვეთილება, აჯანყება, ამბოხება... ასეთ პირობებში თეატრი ვიღს გაახსენდებოდა.

ორმოცდაათ წლებში თეატრის დაარბების სურვილმა ხელახლა იჩინა თავი. ამ გარემოებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი გიორგი ერისთავის კომედიებმა, რომელთა ხელთნაწერები ჩვენს საზოგადოებაში ვრცელდებოდა.

გიორგი ერისთავის მიზანი თეატრის დაარბება და ქართული წარმოდგენების მართვა იყო, მაგრამ ამ მიზნის განსახორციელებლად მარტო ძლიერი სურვილი არა კმაროდა. ახალი საქმე დიდ შრომასა და საკმაო ხარჯს მოითხოვს. შრომის უნარი გიორგი ერისთავს მოქარბებული ჰქონდა, მაგრამ თეატრისათვის საჭირო ხარჯის გამოღვა მას არ შეეძლო.

ამდროს საქართველოში მეფისმთავდელ დანიშნა ვარანკოვი.

ვარანკოვი მოიწადინა ქართულ-რუსული წარმოდგენების გამართვა და მიზნის განსახორციელებლად მოიწვია გიორგი ერისთავი.

მცირე მოლაპარაკების შემდეგ ვარანკოვიმ აღუთქვა გიორგი ერისთავს ყოველგვარი დახმარება და ხარჯის გასტუმრება, თუკი ის წარმოდგენების მართვას მოაწყობდა.

ეს ამბავი რომ ჩაეწყვთა კურბებში ჩვენი წარჩინებული წოდების ერთ ნაწილს, მთელი ჩითქმ-მოთქმა შეიქნა: თეატრი გარყენილებას შემოიტანს, „მეძავე-კურობა“-ს გააჩენსო და სხვადასხვა.

ნათქვამია, ღმერთი თუ ჩემი მწყალობელია, ეშმაკი რას დამაკლბსო.

ვარანკოვი ყოველგვარ დახმარებას უწყევტავი გიორგი ერისთავს და ბნელი ძალებისა ამიტომ მას აღარ ეშინოდა, შეგაროვა სცენის მოყვარებთ, შეასწავლა მათ თავისი „გაყრა“ და გაკართა პირველი ქართული წარმოდგენა ორ იანვარს 1850 წ. პირველი გიმნაზიის დარბაზში.

აი ის პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პირველ ქართულ წარმოდგენაში: ილ. ორბელიანი, ოქ. ერისთავი, დ. ი. ყიფიანი, ანდრეევსკისა, კნ. ა. ორბელიანისა, გ. ერისთავი, კნ. ქ. ორბელიანისა, გ. შანშიშვილი, ა. ერისთავი, ნ. ერისთავი, გრ. ერისთავი, კნ. მ. ერისთავისა და მ. კილაშვილი.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. პარველმა წარმოდგენამ ვარანკოვზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ოთხასი თუმანი აღუთქვა გიორგი ერისთავს ყოველწლიურად ქართული წარმოდგენების გასამართავად.

გიორგი ერისთავი მხნელ შეუღდა საქმეს და მისში გამართა მეორე წარმოდგენა. ითამაშეს მისივე კომედია დავა.

მალე გიორგი ერისთავმა შეადგინა მულმივი დასი და სისტემატიურად დაიწყო წარმოდგენების მართვა. რადგანაც დასს ოთხასი თუმანი არა ჰყოფნიდა, ვარანკოვიმ ასი თუმანი კიდევ მოუმატა და ამგვარად ქართული წარმოდგენების საქმე კარვად მიდიოდა 1855 წლამდე. როდესაც ვარანკოვი საქართველოდან გადიყვანის, მისმა მოადგილემ ქართულ თეატრს სუბსიდია მოუსპო, წარმოდგენების ხარჯი შემოსავალმა ვერარ დაჰფარა, გიორგი ერისთავი დავლიანდა და იძულებული ვახდა, თვისი საყვარელი საქმისათვის თავი დაენებე-





ბია. წარმოდგენებს დროდადრო მართავდა ივ. კერესელიძე, ა. როინაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. ავალიშვილი და ან. ფურცელაძე.

წარმოდგენები უმთავრესად კერძო ოჯახებში იმართებოდა.

დღმ. ყიფიანის, ილ. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, გ. თუმანიშვილის და სხვ. მეთაურობით დაარსდა დრამატული საზოგადოება თავიანთი გამგეობითა და მუღმივი დასით 1879 წ. 5 ნოემბერს თვეს მუღმივე დასმა გააძრთა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ენ. ბარბარე ჯორჯაძის კომედია „**რას ვეძებდი და რა ვპოვე**“. მას დღეს აქედ ქართული სცენა მტკიცე ნიადაგზე დადგა და თუმცა რყევით, მაგრამ შეუჩერებლად მიდიოდა წინ და დღესაც მადის.

მუღმივი დასის დარსებისათნავე ჩვენს სცენას გამოუჩნდნ ისეთი ნიჭიერი მთამაშენი, როგორც მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე და კოტე ყიფიანი. მათ მალე გვერდში ამოუდგნენ ლალო მესხიშვილი, ვალერიან გუჩია, აწ განსვენებულნი კოტე მესხი და ნინო ჩხეიძე.

ამ პირველხარისხოვანი მსახიობებისა და სხვათა ერთგულმა მუშაობამ და დაუფლავებამ შრომამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ჩვენს თეატრს ქართველი ხალხის გულში. დღეს ქართული წარმოდგენები სოფლებშიაც ხშირად იმართება და ამგვარად ქართული თეატრი მთელი ერის საყვარელ ტაძრად გახდა.

*ავ. კახიანი*

**ქართველი მსახიობის თან-**

**დათან გაპროტესტიონალემა**

ყველამ კარგად უწყის, რომ უმთავრესი მოთხოვნილება დღეს სასცენო ხელოვნებაში არის ანსამბლი,—ე. ი. სცენიდან მთლიანი სურათის გადმოცემა. განვლო იმ დრომ, როდესაც უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო უმთავრეს გმირის განსახიერებაში. მაყურებელი კმაყოფილდებოდა მხოლოდ უმთავრესი გმირის თამაშით, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა დანარჩენ მომქმედ პირებს. დრამატიუ-

ლი ხელოვნება, დრამატურგებიც სწორედ ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნ. აიღეთ ძველი პიესები, გინდ კლასიკური და დარწმუნდებით ამაში: ადვილი ასახსნელიცაა. ხელოვნება, მისი მიმართულება, ამა თუ იმ დროში ეთანხმება, უკეთ რომ ვსთქვათ, შედეგია საზოგადოებრივ განწყობილება—აზროვნებისა... თუ სოფოკლეს, ევრიპიდეს და ძველ ბერძნულს ტრაგედიაში—უმთავრესი პირი, რომლის ირგვლივ ბრუნავდა ყველისფერი—იყო ეგრედწოდებული ბედის-წყრა, — თუ შექსპირის ტრაგედიაში—უმთავრესი გმირი იყო ძალით და უფლებით აღჭურვილი კლასის წარმომადგენელი, მისი ენებათა და სულისკვეთების მხატვრულად გადმოცემა—ყველა ეს მიტომ, რომ თვით საზოგადოებრივი წესწყობილება საზოგადოებრივი ფსიხოლოგია და შეხედულება, სწორედ ამგვარსავე ნიადაგზედ იყო აშენებული, არისტოკრატიული პრინციპი—კერძო პიროვნების, როგორც მფლობელი კლასის წარმომადგენელი გვემოჩნია. მხოლოდ იგი იყო მნიშვნელოვანი, მხოლოდ იგი იყო საყურადღებო საზოგადოებისათვის, ავტორისათვის, მსახიობისათვის... დანარჩენნი მხოლოდ საჭირო ფონს, საჭირო დეკორაციას წარმოადგენდნ... მაგრამ შეიცვალა, შეირყა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. საზოგადო ასპარეზე გამოვიდა ახალი ძალა—დემოსი, წარმოიშვა დემოკრატიზმის პრინციპი.—ამას თან მოჰყვა საზოგადო განვითარება, შეგნება. დღევანდელი მაყურებელი უფრო კრიტიკულის თვლით უყურებს სცენას, მისი ესტეტიური გემოვნება განვითარდა—იგი მოითხოვს **მთლიანს სურათს**... ცხოვრება საშინელის სისწრაფით მიმდინარეობს. ელექტრონთან და ჰაეროპლანთან ერთად თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრებაც ჩქარის ნაბიჯით მივრბის.

*ი. ჯიჯინაძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)







# ქართულ დრამ. სამ. პირველი გამეგობის

თავმჯდომარე

თავმჯდ. ახანავი




ი. კავჭავაძე



ა. გურგენი

ხაზინადარი



გიორგი თუმანიშვილი

## დრამატული სამოგადროება და მისი გამეგობანი

წელს ივნისის 22 შესრულებას სწორედ 34 წელიწადი, რაც უმაღლესს მთავრობისკენ ნებადართულ და დამტკიცებულ იქმნა „ქართული დრამატული საზოგადოების“ წესდება.

ამ წესდების ძლით დრამატული საზოგადოება მხნედ მუშაობს აგერ შეთანხმებული წელიწადი და შედეგი და ნაყოფი ამ მუშაობის დაიღაც სახატო და თვალსაჩინოა ჩვენის ქვეყნის და ერის კულტურულს ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, ეოველ „საზოგადოების“ არსებობის უნარს და ძალას წარმოადგენს უწინარესს ეოველის მისი მმართველი ორგანო ანუ გამგეობა.

ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ კამოცნულია თავის შემადგენლობით და ელიერით, მაგრამ მთავარი აზრი და იდეა ეოველივის ეველას

ერთი და იგივე ჰქონიათ—დაუფლავი და უნგრესი საშესხური ქართული დრამატული სელაგების საკეთილდღეობად.

თუ რაოდენად აფსუბდა ქართველობა და რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა იგი თეატრსა და მისი ბედიდობის გამგებლებსა, იქიდანა სწინა, რომ პირველ გამგეობაში არჩეულ იუვენ თავმჯდომარედ აწ ნეტარ სხელებული დიდებული ილია ჭავჭავაძე, მის ამხანაგად სახელაფანი აკაკი წერეთელი და წერებდა: რაიულ ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, ნიკოლოზ ქანანაშვილი, მისიელ და კონსტანტინე ეიფანაში.

შეუძლებელია ითქვას, რომ ეოველი გამგეობა ამ მრავალ წელთა განმავლობაში ეოველიეო შესაფერი თავის მზადდის დანიშნულების და მოწოდებისა, რადგანაც, როგორც ეველამ უწეის, ხშირად პირებები, დრო და მისი ეოვერულობა ეოვერულებს ხელმე როგორც საერთო საქმეს, ისე კერძო პირთა...

ზოგი გამგეობა ფხიანი და ნაყოფიერი იყო, ზოგი სუსტი და უმძნარო.

ზოგი გამგეობა სრულებით ახვარის არ ეწვედა წარსულს და ეოფილს და ისტორიის დასაწყისს თავის არჩეუბის დიდდინ ლამობდა...

დაიღ იყო, ბეური რამ იყო!

ეოველ შემთხვევაში არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ხანები დრამ. საზოგ. ცხოვრებაში, როცა მას სთავებში ეღგენ გიორ. და ვას. თუმანიშვილები, ვასილ სულხანიშვილი და ჰეტრე ეიფანა, ნიკ. ქართულიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი, პირთერ გოთუა და სხვებიც.

გებე-ეოა, რომ ამ 34 წლის განმავლობაში ეოველთვის-ეი არ ეღგა თეატრს ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა. ხშირად უსახრობის თუ ეოთქმელობის გამო ქართული თეატრის საქმეს წარმოებდნენ კერძო ამხანაგობანი, ზოგჯერ თეითონ მისხიბობაგან შემდგარნი და ეოფრო ხშირად-ეი ჩვენს თეატრის გულშემატკივარი ჯგოფები და ინტელიგენტთა წრეები. მაგრამ არც ერთს გამგეობას თეატრთან კავშირი არ გაუწვევტია და სწეობრივ დამოკიდებულება ეოველივის ჰქონია.

დადს შემწეობას აძლედა სწეობრივად და განსაკუთრებით-ეი მატრეალიურად დიდდინ დაეუძმეობის დრამ. საზოგადოებას ქართველი თავად-ახანურობა, რომელიც ჩვეულებრივ ეოველივის მიერეგლობას უწვედა ჩვენში ეოველს ეულტურულს დასაწყისს.





დრამატულ სწოგადობის გამკეობამ სწო-  
გადოდ განმტკიცა ქართველობაში მუღმივობა და  
რეგულარობა ქართულის წარმოდგენებისა, შექმნა  
პროფესიონალური ჯგუფი მსახიობთა და ორგანიზა-  
ლი თუ ხათარკმნი დრამატული ლიტერატურა,  
მთუზოგა ქართულს თატრს განსაკუთრებული "თეა-  
ტრალური ზეღვივა", რომელიც დოვიდან უთატრ-  
რად ჯერ იკზოვრებს.

ვეფლასთვის ცხადია, რომ ახლა თატრნი ჩვე-  
ნის ერისთვის ერთგვარი აუღილეულება მთხისოვნი-  
ლეება, თატრს დაეწავა ვრცელი მსისა, ხლხნი—  
demos o.

ახლანდელი გამკეობა, — რომელიც შესდგება.  
ჰავ. იოს. თუმინიშვილის, ნიკ. ერისთავის, იოს.  
ბარათიშვილის, შად. მიქელასის, იოსებ გუღუაშვილის,  
შად. მესხიშვილის, არნ. ავლადიშვილისა  
და დომ. დემიძისაგან, — უმეღილია არ უღალატებს  
ძველს ნაღდს ტრადიციებს და მხნედ განაგრძობს  
იმ სწავლით მუშაობას, რომელიც უქაღის ჩვენს  
ერს დაწინაურებს, ხოლო თვითრეულ გამკეობის  
წვერს ამ ერის სიუვარულს და მადლობას.

დეკ, ჩურავის ნუ დაავიწყდება, რომ ჩვენი  
თატრნი განსაკუთრებულ ჰირობებიზა და მიტმანც  
მისი ზრდა-კანეთარებაც განსაკუთრებულ გზით უნ-  
და მიმდინარეობდეს.

წახედულობას უმეტესს შემხსვევაში საქმე თუ  
არ ვაუფრებია, არც აუკუთება!


საკია-მუნი

ვერსად, ვერას დროს...

ვითგზაურობდი... მე მინახავს მუღმივა თოვლით  
გაღაფრული კავკასიის ამაი თუბი,  
იმთ ალერსში მსურდა შენი გაღაფრება,  
მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდება!

თერვის გრეკიზვას და ხმაურობას მეუწრს ვუგვადობ  
და შეგუჯერ დარაღის ბილიკ-გორდები,  
განზორებითა მსურდა შენი გაღაფრება,  
მაგრამ შენს აჩრდილს, სინდონსლო, ვეღარ ვშორდები.

...და ვითგზაურობა. კილით-კიდე, ზღვა დაწმელეთზე  
მიჰტრის, მიტრებს მწუხარების ამაი ფრთები,  
მაგრამ ვერას დროს ვერ გვიავიწყება, და ისიც ვიცი —  
ვერსად ვერასდროს. ვერც ერთი გზით ვეღარ შეგხვდები



ნოე ყორღანის ავადმყოფობის გამო\*)

გაზეთებმა დამაფიქრებელი, არა სასი-  
მონერო ამბავი მოგვიტანეს: ნოე ყორღანია,  
რომელიც ამ ჟამდ ვერობაშია, ავადა და  
უსახსრობისა გამო გაქირვებაშია.

ვის არ გაუგონია ნოე ყორღანია, ამ გა-  
მოჩენილი პუბლიცისტის სახელი? ვის არ  
წარმოულდება მისი სამწერლო-საზოგადოებრი-  
ვი გამაღებელი მუშაობა? განსაკუთრებით  
ქართველში დემოკრატია იცის მისი ვინაობა  
და არც დაიფიწყდება: ვერობიდან ახალი აზ-  
რების შემომტან-გამაერკვლებელი, ნამდვილი  
ხალხური პრესის შემქმნელი, განახლებულ  
„კვლის“ სულის ჩამდგმელი, ხალხის ერთი  
პირველი წარმომადგენელთაგანი, პირველ სა-  
ხელმწიფო სათათბიროში, დასასრულ — კავკასიის  
არწივად წოდებული, დღეს ავადა და, ჩვენდა  
სამარცხინოდ, იმოდენი სახსარიც არ მოეპო-  
ება თავი ვანიკუროს...

მე მახსოვს იგი 1910 წ. დასასრულსა,  
თუ 1911 წ. დასაწყისს მეტევის ციხეში, მრ-  
ვალ წრომით სწულვებრივ დასუსტებული  
(წიგნში ჩახედვაც კი ემკვლელებოდა, ისე იყო  
ტამრებ-მოდუნებული), მაგრამ სულიერად  
ძლიერი, მარად ცხოვრების განახლების მომ-  
ღერალი... მაშინაც ესურვებოდა თავის მოვლა  
— პატრონობა, მაგრამ ცხოვრების უკუღმართი  
პირობანი ამის ნებას არ აძლევდენ... დღეს-კი  
მიმიე ავადმყოფი შექმნილია...

იგი ჯერ კიდევ რწმენა-მისწრაფებით ახლო-  
გახლდა, ბვერი სარგებლობის მოტანა შეუძ-  
ლიან ხალხისათვის, მაგრამ ესეც რომ არ იყოს,  
მარტო მისი განვლილი ნაღაფი ვილად სდებს  
ყოველ ქართველს, განსაკუთრებით მშრომელ-  
თა კერას, ახლაც იზრუნის-რამ, თორემ თუ  
ქართველ ყურნალობისთა საზოგადოების დაარ-  
ციებას ველოდეთ, ანუ გაზეთის აგენტებზე  
დარჩენილ ფულების შემოტანას, როგორც  
ზოგიერთები სწერენ, — ბვერი კოკა წყალი  
ჩიილის და მერე გვიანდა იქნება...

ჩვენის მხრით ფულურებთ საყვარელ მწე-  
როლს ჩქარა განკურნებულყოფს და მალე დაპბ-  
რუნებოდეს თავის საყვარელ საქმეს — მწერლო-  
ბას...

ი—ი

\*) სურათი იხ. ვასული კვირის ნომერში. ეს წე-  
რილიც მაშინვე უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ქ. მესხის  
მოულოდნელი გარდაცვალების გამო, როგორც სხვა  
მასალა, ესეც გადაიღო.

რედ.





განსვენებული აღნიშნულის არსებობა ამ მოთქმამოთქმამ კეთილი ნადავლი იწავა. ამ მოთქმა-მოთქმის შთანბუდილების გავლენამ აღნიშნულის არსებობა მთლად შეიპერა. იგი აარსებს ხორის არა მარტო იმისთვის, რომ საქართველოს დაბესა და ქალაქებში ჩამოყაროს თავის ხალხს და შობილიური სიმართლით გულის ურთში ჩაგდოს და გამოათხიზლოს, არამედ საშობადო სამხედვარსაც გასცდეს და იქ, დიდს რუსეთში, მოსკოვსა და ზუტერბურგსაც მოასშენინოს ქართული ჰანგა, აზუენის ჩანა-დახურვა ქართულ ხორისი, გაანსოს სიმღერებით განათლებულ საზოგადოებას წინ-ჩვეულებას და შემოქმედება თავის ერისა. აი ის დედა აზრი, რა განზრახვითაც მან დაარსა ხორა.

აღნიშნულმა თუმცა თავისი განზრახვა ვერ განხორციელა, მაგრამ მის მიერ დაწესებული საქმეები ნაციონალური საქმე იყო. რომ საზოგადოების თანაგრძობას არ ეფიციელიყო მოკლებული, განსვენებულის ენერჯიას წინ ვერა აღუდგებოდან. ეფიციელ შემოხვევაში მის მიერ დაწესებული საქმე შეიქმნა სათავად ამ ინტერესისა შესივისადმი, რაიც დღეს ქართულ საზოგადოებაში სუფიქსს. სხვა რომ არა იქონის, ამ ხორადან გამოვიდნენ ზოგაერთი ის ზინანი, რომელთაც სცანდა ამ ხელათენიის სამსხუერი გაისდეს და, ცოტად თუ ბეგრად, მოშობილურ ნადავსეუდაც მუშაობენ. **ი. მარალაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ხალხის მრავალგვარ მოთხოვნილებათ უფრო ვასაგების ერთ, უფრო ვრცლად და სინტერესოდ გასცა პასუხი. თეატრში მოსიარულე ხალხი, როგორც სარკემო, ჰხედავს თავის წარსულს, აწმყო და მომავალ ცხოვრებას. რა საკითხი დაებადოს აღამიანს, რომ კარგმა თეატრმა პასუხი არ მისცეს და მერე შშრალი, სქოლოსტური პასუხი კი არა, არამედ ლამაზ სამოსელიწო, ვასაგებ ფორამში ჩამოყალიბებული. ბევრი თავსამტერვეი მცენიერული აზრი, ხელოვნებაში განსახიერებული, ადვილად შეითვისება მსმენელთაგან.

თეატრი ამითი არ კმაყოფილდება და მიუყრებელთ თვალწინ ვადუშლის სხვა ერების, სხვა ქვეყნების ყოფა-ცხოვრებასაც. ამითი მეტად აფართოებს თეატრში მოსიარულეთა გონებრივ ტატნობს, აღუძრავს მათ ცნობისმოყვარეობას და მოსაწონის წაბაძევა-ვადმონერგვის სურვილს.

ტუნიაკამა და სასცენო ხელოვნებამ ბევრი საშუალებანი აღმოუჩინა დღევანდელ თეატრს მხატვრულ წარმოდგენების გამართვისთვის: დეკორაციები, სინათის ეფექტები, გრიმი, ტანსაცმლის ცვლა და მრავალი სხვა ისეთ ილიუზიებს გვიხატავენ თვალწინ, რომ, ხანდისხან პირდაპირ ვაიწყდებთ სულ ხართ, ვის შობრის ზიხართ.

თუმცა „პური და სანახაობა“ რომის მასის ჩვეულებრივ ძახილს შეადგენდა მრავალგზის აჯანყებათა დროს, მაგრამ მას თეატრი ან თეატრის მავგარი სანახაობა არ ევდა ამ დროს თვალწინ. ის თხოულობდა ცირკის სანახაობათ, გლადიატორთა, ლომთა და ვეფხვთა გლეჯაღრიალს, ხარების და ნადირების შებრძოლება-სისხლის დვრას. თეატრი, როგორც ასეთი, უფრო შემდეგ დროების შვილია და მისი მიმდევარნი და მათაყვენებელნი პირველად განათლებულ, მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ. ხალხს ამ გვარ თეატრში წინეთ ან სულ არ ჰქონდა ადვილი, ან თითო-ორიოლა თუ ელირსებოდა იქ შესვლას.

თუ ამ მაღალ წრის აღამიანებს, ყოველგვარ საშუალებათა მქონეთ ესაჭიროებოდათ კიდევ გონივრული ვართობა, ადვილად ვასაგებ და ლამაზ ფორამში ჩამოყალიბებულ ახალ-ახალ აზრთა ვადამლა სცენაზე, სიამოვნებას-



აკაკი უმიკიაშვილი

გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო

### სახალხო თეატრის გნივზნალოგა

თეატრი ხელოვნების ტაძარიაო. ტაძარი თუ მარტოდღენ სარწმუნოებას ემსახურებოდა, ტაძარმა-თეატრმა ასპარეზი ვათართოვა და





თან ერთად გონების ცქიტთა ლიტინი, რა ვსთქვათ ხალხზე, რომელიც ბნელით მოცული, ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ხშირად ამოიკენს ფეხს ხოლმე: ჩვენს გაჭენაში ღმერთი არა რეულაო... მისთვის ხელმისაწვდომი თეატრი ყველაფერი იყო და არის: აკადემიკი, უნივერსიტეტის, სკოლაც და ეკლესიაც. ცხადია, განება-დაბნულ ხალხს უფრო ესაჭიროება ისეთი დაწესებულება. რომელიც თავის, ყურს აღმრქმედებს და უშუალოდ რაიმეს მიახვედრებს; გამტაცე ფორმას და სანახაობაში გამოპკვიანწავს საჭირო აზრს და ისე მიაწვდის, სიტყვას და მოქმედებას ერთად გადაბავს და რა რისაგან, როგორ გამომდინარეობს თვალსაჩინოდ გახვდის.

ხალხი ყველგან მალე მიხვდა თეატრის დიად მნიშვნელობას და, როგორც მოწყურებული ადამიანი წყაროს, ისე დაეწაფა წარმოდგენების მოსმენას. ამიტომ სახლვარ გარეთ და რუსეთშიც მრავალი სახალხო სახლი და თეატრი შენდება და ინახება სახელმწიფო ხარჯზე. საკუთარ საშუალებითაც ბევრი ქალაქი და დაბა იარსებს თეატრს, რადგანაც მისი მნიშვნელობა ცხოვრებაში ნათლად აქვს წარმოდგენილი. სახალხო თეატრმა შესძლო და კვლავაც ძლიერ-მოსილად გააგრძელებს ხალხის სიბნელესთან ბრძოლას; მისი წყალობით ბევრი ცრუმორწმუნოებანი მოისპნენ ხალხში, ბევრი ხალხისათვის სრულიად უცნობი აზრი და შეგნება ვაერცელდა, მანვე ჩამოაშორა ხალხი დუქნებს, ლოთობას და გაცდენილი, უსაქმო დრო გონიერულ გართობით შეუესო, სახალხო თეატრის ყველა ეს სიკეთეები ჩვენს ხალხსაც ძან ესაჭიროება და თეატრის საამისოდ გამოუყენებლობა დიდ დანაშაულებად ჩაგვეთვლება.

ჩვენისთანა ერისთვის ყველაზე საჭიროა საზოგადოთ თეატრი და კერძოდ სახალხო შემდეგ მოსაზრებითაც: ყველასაგან ცნობილია, რომ ენა ერთი უძლიერეს ბურჯთაგანია ეროვნულ მთლიანობის შენობისთვის. დამონებულ ერების ენაზე ამიტომ არის მიტანალი ძმლადერი იერიში, ამიტომ იზღუდება ან სრულიად განიდევნება ის, საიდანაც და როდესაც-კი შესაძლო ხდება. გაბატონებულ ერთა ამ გვარ პოლიტიკის ეროვნული თეატრი დიდს წინააღ-

მდეგობას უწევს სამშობლო ენაზე წარმოდგენების მართვით. თეატრს სათაყვანებელ დაწესებულებად ჰხდის. საკმარისი არ არის რაიმე აზრის ლამაზად მოკაზმვა, მშვენიერ ჩარჩოებში ჩასმა და ხალხის თვალწინ დადგმა, საჭიროა იგი გასაგებ, სასმენლად ტკბილ და სასიამოვნო ენაზე აიხსნას, განიშარტოს. მხოლოდ ასე გამოტანილი აზრთ ელირსება მაყურებელთა გულიდან გამომიხიზოს, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღფრებნათ მათ უღრმესი გძმობები და ქეშმარტი სიამოვნებას განიცდიან.

ჩვენი ერი, თითქმის, ყველაფერს ნამდილდ ეროვნულს მოკლებულია. შეტბორებული, გარინდებულია მისი სიკოცხლე. დღევანდელ პირობებში მართლოდენ თეატრი ახერხებს ხალხის შემშლშენას და ცხოვრების ამ ერთფეროვან მდგომარეობის შექდრას. ქართული თეატრი წარმოდგენილია უქართლოდ. სხვა დაწესებულებებში-კი ლამის მხოლოდ უქართლოდ მოაგვარონ საქმეებ. ამიტომ, წყალ—წალღებული ხავს ეკიდებოდაო, ჩვენც მაგრა უნდა ჩავებლაუჯოთ თეატრებს და მათ სამოქმედო ასპარეზად ყველა ქალაქი, დაბები და სოფლებიც-კი უნდა ვავხადოთ. ამითი ორ კურდღელს დავიკეროთ,—მშობლიურ ენას ფესვებს გაუღავრებთ, ხალხს კოცხლად გამოველასპარაკებით და საჭირო შეგნების რიზოვებას საინტერესო და გამმტაცე სანახაობის საშუალებით გაუღღვილებთ.

თავისუფალ ეროვნებათ ესაჭიროებათ თეატრი, ამას აღიარებს მთელი კულტურული კაცობრიობა. და ეს მაშინ, როდესაც ისინი შინ და გარეთ საკუთარ ატმოსფეროში ტრიალებენ, საზოგადოებრივი ცხოვრება, სკოლა და ოჯახი ერთი მეორის შემამსვევებელი გარემოებანია. რადენად ესაჭიროება ჩვენს ხალხს თეატრი, რომელსაც ყველაფერი უკულმა აქვს შეტრიალებული, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა.

ჩვენმა ხალხმაც იკრძნო აულოთი თეატრის დიდი მნიშვნელობა და, სულიერად მშვიდრი, წარმოდგენების დაუზარებელ დასწრებაში პოულობს ნუგვეს და საღბუნს. თბილისის ცხოვრება გჩივენებს, რომ ხალხი დიდათ ეტანება წარმოდგენებს; ასეთივე ამბები მოგვდის სხვა ჩვენ დაბა-ქალაქებიდან. ვისაც მად



აქცს, პურის ყუბ იმას უნდა ევიროს. რაკი ხალხი უფრო ძან არის დანტერცეხული სამ-შობლო სცენით, ვიდრე ჩვენი ინტელიგენცია და მალაღ წოდება, ცხადია რას უნდა მოზ-მარდეს თეატრის მოღვაწეთა მთელი ენერჯია. საუბედესად ჩვენი თეატრი და დრამატული ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს ხალხის ამ სანეტარო მოთხოვნებს. ამას მალამო მომი-ვალმა ყრილობამ უნდა გამოუნახოს.

თუმც მართალია, „ააფრინე ალალი, რაც არ არი— არ არიო“, მაგრამ იმ რეპერტუარიდანაც-კი, რაც გვახადია, ხშირად ხალხს სრულიად შეუსაბამო წარმოდგენები ემართებათ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა პატარა თავისუფალ დროს; ამ დროის ფუქსავატობით შეცემა მომაკვლინებელი ცოდ-ვა და თეატრის მნიშვნელობის დაფორლება.

ვინც ესწრება მოლოროსთა წარმოდგე-ნებს, ყველა დამეთანხმება, რომ მათმა მწერ-ლებმა ხალხის გულთან ახლო დაიდეს ბინა. ყველაფერი ხალხისთვის და ხალხურ სამოსელო-ში გამოკავანწული, აი თათქოს დევიზი მოლო-როსთა მწერლებისა. დიდით სისარგებლო წა-ბაძვა იქნება, თუ ჩვენი მწერლები დაგვიწერა-ვენ და თეატრის მოღუნენი დაგვიდგავენ დღე-მულამ იმგვარ პიესებს.

მივესალმები მეტად საჭირო მომავალ ყრილობას და ვუსურვებ დიდი ყურადღება მიექცივნოს სახალხო თეატრისთვის. ჩვენი ხანა ხალხშია და არა ერის იმ ნაწილში, რომელიც ქული რო შეუგლოთ ქართულს დაწესებულე-ბაში, არ შევა, თუ შევა—მარტოოდენ თავის-გამოსაჩენად.

**ლ. ცაგარელი**



**ჭიათურის სცენის აღორძინება**

ჭიათურა წარსულ საუკუნის დასაწყისამდე არა-ვითარ საცხოვრებელ ნიადგეს არ წარმოადგენდა, კარდა იმის, რომ კლდეებსა და კლდეებს შორის ხევი ნიკვზის ხეებით იყო მიდებული.

ჭიათურა შტებარეთას მდ. ეფიარდის ხეობაში სოფელ ჰერევისის ძირას და დედათა მონსტრის მხლობდა.

ზარეუად მის სიმიდარისთვის მოუქცევათ რადლება ჩვენ დიდებულ მეტასის ჯაკის, რომელ-საც მოუქცევისა სახლავარტრეული და მის შემდეგ დაწობდა შავიქვის დამუშავება; შემდეგ ჩვენი მხრ-დანც გამოჩენილან მრეწველნი და მათ შორის ს-პატია ავადილან სჭერია განსვენებულ ქველმოქმედ დობეკიძესა, რომელთანც უმსახურათ თვალს-ხინო მოღვაწეთა და მწერლების.

1894 წელს ჩვენში კარგა ცნობილ აწ გან-სვენებულ გიორგი დეკანოზიშვილს მოუერთა თავი ახლავარდობისთვის და თედ. კიევიძეს, სპს. უახაი-შვილს, ერ. დეკანოზიშვილს, ფ. დარბას, კ. წე-რეთელს, კარზე მიდებამს, ბეს. კანახაძეს, სოფ. ჩხანისეს, ქალებს: ევ. წერეთელს, იულია წერე-თელს და მარ. აბდუშელიშვილს მოუშხადებიათ და დაუდგამთ ჩხანისეს სხლში ორი ზიეს: „უჩინმხი-ნის ქუდი“ და „ქუჩი“, რომლებიც კარგა წარ-მოუდგენიათ.



**გ. დეკანოზიშვილი**

აი, ის ზირები, რომელთაც გ. დეკანოზიშვილის მეთაურობით ზირეული ქვა ჩუკდათ ჭიათუ-რასა სცენის სძირველისათვის.

მათ უმართავთ წარმოდგენები 1898 წლამდე, ხოლო შემდეგ გ. დეკანოზიშვილის წასვლისა 1899—1903 წლამდე უმართავთ წარმოდგენები თბილისიდან და ქუთაისიდან ჩასულებს ერ. დეკან-ოზიშვილის დახმარებით.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ჭიათურის ადუბ-მიდეშობა თართოდებოდა და მცხოვრებლებიც შიგ ბინავებოდაც, განსაკუთრებით მუშები მრავალ-დებოდაც.

შავიქვის მრეწველთა საბჭომ დაინახ, რომ დახმარება იყო სჭირო; ამისთვის 1903 წელს მუდ-მივი ბინა დაიქირავა და სცენაც მოაწყო; ამისთანავე დახმარება აღუთქვა იმ ზირთ, რომლებიც-კი დასდ-გავდენ წარმოდგენებს.

ამის შემდეგ ავადობრივ ემაწვებულისაგან შესდგა ჯგუფი, შემდეგის ზირებისაგან: გ. ჭუმბუ-რიძე, ის. ვარაზიშვილი, მირ. ჭანიშვილი, გ. ნე-რუბიძე, ანტონ იურეკიანი, ვლ. შადიაშვილი, ს. ტარაშვილი, მოწვეულ ვლ. შადიაშვილის რეჟი-სორებით და მის მუუდღე ნატ. ჯავახიშვილის დახ-მარებით იდგმებოდა წარმოდგენები 1906 წლიდან.

ამავე ხანებში მათ შეიმუშავეს წესდება ადგი-ლობრივ ქართ. დრამატულ საზოგადოებისა და





დიდისნი დაბრკოლების შემდეგ მიიღეს დამტკიცებული წესი, რომლითაც დაარსდა ჭიათურის დრამატული საზოგადოება და 1907 წლიდან იწყო მოქმედება. ამ საზოგადოებას უოველიყუე მოწოდებლობა და ბინა გარდასცა საბჭომ და მასთან დაუბნა უოველწეიურად სესიადია.

1907 წ.	ლიდღა	30	წარმოდღენა,	დაესწრო	4083	მაც.
1908	"	19	"	"	2954	"
1909	"	12	"	"	2431	"
1910	"	36	"	"	7218	"
1911	"	45	"	"	8610	"
1912	"	42	"	"	8133	"

ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ მიუხედავად დარბასის სიზატარავისა, ხალხი უსწრებოდა (1908 და 1909 წლებში წარმოდგენები ნაკლები დაიდგა, რადგან თეატრის ახალ შენობას აწუბდეს და რამდენიმე თვით მთდა უნებურად ჯარისათვის ბინად იყო დატოვებული) და ხალხისანადგე ეკიდებოდა.

არ შემიძლიან არ მოგაგონო ერთი შემთხვევა 1907 წლის წარმოდგენის დროს, გეანებ „მთიკობა“, როცა თამა ჰკონის თავის მუედეს; ჰარტრიდან ისეთი სიტუეეა მოისმა, რომ აქ მოყვანა უადგილოა; მგრამ აბა ახლა მოისმინეთ იქ წარმოდგენა და გადსედეთ თვით ჰარტრეს მუშიდან დაწეუბულს წინა სკამებამდე რა რიგ გუდმოდგინებითი და გატაცებითი სმენას მათ შორის.

ასე გასინჯეთ ახლა მუშათა შორის რეცენზენ-



ჭიათურის დრ. საზ. გამგეობის წევრნი და სცენის მოყვარენი — 1907 წ.


ტუბიტიკი არიან და ასე თუ ისე საეულისხმო მანარისისეც მოიძებუნეს ამ რეცენზიათა შორის.

ამ რიგად 1894 წელში ჭიათურაში ჩეურად სიბრეველს მოეღაჯა ზედ წმინდა ტასარი სცენისა, რომელმანც მუდამეუე გაისმის ხელფანების ჰეშმარტუბს ჩეუნდა კანობრიულ აღმოსმინებისთვის.

ახლა საბჭოს გადაწეტიადი აქვს აჯგოს სხალხო სხალი, რომლისთვისაც გადადებულად 40,000 მანათი.

უსურვებთ მსლე განხორციელებას.

ბ. გლახაშვილი



## შეზოქილ მსახიობზე

„თეატრი და ცხოვრების“ ერთერთ ნომერში (№ 4), ბ. შალია დადიანი ფრიად საინტერესო საკითხს შეეხეო. ის მოგვითხრობდა შეზოქილ მსახიობზე. ეს საკითხი თავის თავად ფრიად საინტერესოა, ჩვენი სცენისათვის, რასაკვირველია, დღევანდელ დღის საკითხს არ შეადგენს და, თუ რამე იწერება, ეს უფრო წინასწარ მსჯელობის ხასიათისაა.

ჩვენი თეატრი ჯერჯერობით თავის განვითარების პირველ საფეხურზე სდგას, მის მუშაობას ჯერჯერობით უსიტემობა ეტყობა, არის მხოლოდ საერთო მუშაობა, რომელიც დრო მოვა გამოერკვევა და, რასაკვირველია, განსაკუთრებულ პროგრამასაც შეიმუშავებს და მას დამუშავებარება.

მსახიობის შეზოქვაზე საკითხი პირველად რუსეთში აღიძრა და ისიც მხოლოდ სულ ახლო წარსულში — ჩეხოვის დრამის ხანაში. წინათ, რასაკვირველია, ეს საკითხი არსებობდა, მაგრამ ისე მძლავრად, როგორც ჩეხოვის დრამის დროს, არა. აღბათ მაშინ იგი სწყდებოდა იმის და მიხედვით, თუ როგორი რეჟისორი ედგა სათავეში თეატრს, და როგორი მსახიობები მოღვეწობდენ ამა თუ იმ თეატრში. ჩეხოვის დრამამ კი ეს საკითხი უადრეს წერტილამდე გამოაწკარავა. თავის განსახიერებისათვის მან მოითხოვა პასუხისმგებელი პირი და როგორც ასეთს მიმართა რეჟისორს. რეჟისორს მიაწორა მან მოლიანი მასალა, განსაკუთრებული გუნება (настроение) და მოითხოვა მისგან უტკვლოდ მათი ვადმოცემა. ეს მოთხო-





ნა, ერთი შეხედვით, თითქოს ზედმეტად უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ეგრედწოდებული მსახიობის „მე“, ხშირად წინაღუდგებოდა ხოლომე ავტორის სურვილს და ქმნიდა ისე, როგორც მას მოეწონებოდა, თუნდა მას სხვანაირადც სჩვენოდა. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ეგრედწოდებული „კუბიურები“ მსახიობის მიერ ჩვეულებად იყო მიღებული და თუ რომელიმე ადგილი დრამისა, თუნდ უაღრესი მნიშვნელობისა, მსახიობს არ მოეწონებოდა, ასეთი ადგილი მყისვე შორდებოდა პიესას. ეს მაგალითები იმის მეტყველია, რომ შეუბოქველი მსახიობი არამც თუ განსაზღვრულ შექმნილს უდგამდა სულს, მზათ იყო იგი სრულიად ვარდა-ეჭმა, ოღონდ თავისი მსახიობური ჟინი აესრულებინა, და სწორედ აქ გაჩნდა საჭირო რეჟისორი, მსახიობის ჟინის შემფერხებელი. რასაკვირველია, ამ აზრს იმ შემოქმედსთან, რომელზედაც ლაპარაკობენ, საერთო არა აქვს რა. მსახიობის თავის შემოქმედებით გატაცებას ცოტათ ფრთები შეაკვეცეს. ადვილი შესძლებელია მისი „მე“ დაჩაგრეს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებისათვის და მისი სახელით.

მსახიობის შემოქმედის საკითხი დაიბადა მსახიობთა სწორედ იმ წრეში, სადაც ხელების ქნევა და რბიანი გამოძახილი უაღრესათ მეფობდნენ. ჩეხოვის დრამა მოითხოვდა განსაკუთრებულს გუნებას, მის მთლიან გამოსახულებას, მისი ფერადები ბუნებრივი თალხი ფერისა იყო; ეს ზემოთ ნახსენებ მსახიობს არ მოსწონდა. მას მაინცდამაინც ბრჭყეილა ფერები უნდოდა, მას ვერ წარპოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ისე, ჩუმად, სადაც იქ გულის სიღრმეში ტანჯვა „ივანოვისა“ ან „ბიძია ვანოსი“, მას უნდოდა ეყვირნა, ხელები ემტვრია, ფართოდ გაღებული თვალებით მაყურებელი შეშინებინა და როდესაც ამის ნუნა არ მისცეს, ვაიბუტა და საზოგადოებას გულწათუთქმულმა ამცნო, — მსახიობი შეიბოჯო!

თუ ეს იქ, რუსეთში, მოხდა ჩვენშიაც უსათუოდ მოხდება. ქართველი მსახიობი ჯერჯერობით ამაზე ხმა-მალა ვერ ლაპარაკობს, მას ჩეხოვისებური არა შეხედრია რა მაგრამ, ვიმედოვნებთ: მოვა დრო და ჩვენი თეატრიც გაუსწორდება ევროპის თეატრს და ჩვენი

მსახიობიც ხმას აღიმალღებს.

წინასწარმა მუშაობამ-კი შეიძლება ეს თავიდან აგვაცდინოს.

როდესაც მსახიობი შემოკვანე ამბობს, იგი გულისხმობს ახლანდელ რეჟისორს და იწიყებს, რომ შემოქმედის მიზნში ნამდვილათ რეჟისორი კი არა, თვით მისი მდგომარეობაა. მსახიობის შემოქმედება ავტორის მიერ განსაზღვრულ ფარგალში სწარმოებს. სცენაზე მეფობს დრამის სურვილი, ის არის მკარანხებელი და მსახიობი კი აღმასრულებელი. მსახიობი ასხამს ხორცს ავტორის ნაფურსს, მის ხელთ არის მხოლოდ თიხა; აზრი, მიზანი საბოლოო გამოხატულება კი ავტორის ხელშია. თუ მსახიობი შესძლებს ავტორის მიერ ნაფიქრ ქანდაკის ხორცის შესხმას, იმისი მოვალეობაც შესრულებულია. ერთი სიტყვით მსახიობი სასვებთი დამოკიდებულია დრამის სურვილზე. აქ რეჟისორი მხოლოდ გამაფრთხილებელი, გზის მაჩვენებელია, რომელიც აგრეთვე შემოქმედი ავტორის უმთავრესი დებულებით.

რეჟისორის მუშაობა უფრო ფართია, იგი ადგენს საერთო გეგმას, მუშაობს ავტორის ნაზრების ანალიზზე, ქმნის გარეგან ტენიკურ მხარეს, უხამებს აქსესუარს და სხვა... მსახიობი-კი ერთ-ერთ კერძო მოვალეობას ასრულებს მთლიანის შესაქნელად და, როგორც ასეთი, იგი ექვემდებარება საერთოს შემქმნელს. და თუ უკანასკნელი სიფაქიზით ევიდება თავის საქმეს, იგი უსათუოდ შეაჩერებს მსახიობის ეგრედწოდებულ „მე“-ს, თუ იგი დრამის აზრს ეწინააღმდეგება. გვიპასუხებენ, — რაღა რეჟისორმა შეითვისა ეს დრამის აზრი და რომელიმე მსახიობმა არა.

არც ერთი ამდროინდელი რეჟისორი არ მეფობს ეგრე რივად სცენაზე, რომ იმისი ხმა, მსახიობთა დაუკითხავად ვადამწყვეტი იყოს. ამიტომ ყოველივე ძირითადი უთანხმოება პიესის წაკითხვისა და წინასწარ გარჩევის დროს ირკვევა. რაც შეეხება წვრილობას, ამაში რეჟისორის დავიკრებელი თვალის სიმართლესთან უფრო ახლო იქნება, ვიდრე მსახიობის, უკანასკნელი, ხშირად გატაცებული, ვერ შეამჩნევს შეცდომას მაშინ, როდესაც რეჟისორის თხიზელი თვალი მას მყისვე გაარკვევს.

ერთი სიტყვით შეთანხმება ორივე მხარი-



სათვის არის საჭირო, მაგრამ შეთანხმების მეორე კი სცენაზე მდგომარეობის ბატონ-პატრონი უსათუოთ რეჟისორია.

ბ. შალვა დიდიანი ამბობს: „თეატრი სწორედ მაშინ იქნება ღირსეულ ნიადაგზე, როდესაც მთელი მისი შემადგენლობა თანახმად შეუწყობს ხელს მის წარმატებას კერძოთ, არც ერთმა შემადგენელმა არ უნდა იყოს პირველობა“-ო.

დიად, ეს ასე უნდა იყოს და კარგ თეატრში ასეც არის. პირველობას არაფერ არ კისრულობს. მსახიობი და რეჟისორი, ორივენი დრამის მთავარი აზრის და მისი სურვილების აღმასრულებელი არიან, ერთი ერთმანეთისგან დამოკიდებული. როგორც ვიოლინო ორკესტრში უძღვრია ლობტარის უჯჯობით, ისე ლობტარის მუშაობა უზერხული იქნებოდა ვიოლინოდ. აქ, თუ გნებავთ, ერთგვარი პირველობა არის, პირველობა უნებური, ძალად აღუტანებელი. სწორეთ ასეთ პირველობას „სქემობს“ დღევანდელი რეჟისორი. მხოლოდ...

დასასრულ ავტორი ამბობს: „თუ გულმა თავი და მოინდომა და საბუღრიდან ამოხტა, უთუთო დიდი აურზაური მოჰყვება“-ო. აურზაური, რასაკვირველია, მოჰყვება და ისეთიც, რომ გულის პატრონს მამაპაპათა სახილველად გაამგზავრებს, მაგრამ ასეთი აურზაური სწორეთ მაშინ მოხდება, როდესაც მსახიობის გულისთვის აყვებით და მას, როგორც მასალას, ვისმეს არ დაეუმორჩილებთ, რასაკვირველია, ამ სიტყვის უკეთილშობილების მნიშვნელობით...

რაც შეეხება ბ. შალვა დიდიანის შიშს თეატრის სანახაობად გადაქცევაზე, ეს შიში საფუძვლიანია და ჩვენში კი განსაკუთრებით ჩამაფიქრებელი,

მაგრამ, ამაზე შემდეგ.

**გოლა ახრახუქი**

**წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი**

◆ მსახიობ კოტე მესხის დაკრძალვას ვასულ კვირას დიდალი საზოგადოება—ხალხი დაესწრა. კუბო დიდის ზეიმი ჩამოატარეს სახლიდან სასახლის ქუჩაზე და თეატრის წინ დასვენეს, სადაც ჩვენი რედაქციის მხრით იოსებ იმედაშვილმა ცოცხალი ყვავილების თაივლით (დაფენს შტოს კალამ-ვაყრილი) შეამკო გან-

სვენებულის კუბო. თაიგულის სამგლოვიარო ეწვრა: „**ვინ სიყვლილ ჰგლოვს „თეატრი და ცხოვრება“**“, **კინო თეატრში დაგვანახავ ცხოვრება“-ო**. „ის, ვინც მთელისთვის არსებით სიკვდილის გამარჯვებას ემსახურებოდა ხელოვნების სადღესასწაულოდ, არ არის მკვდარი!“ აქ გონივრული სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა მსახიობმა ლადო მესხიშვილმა, ქაშვიტის ტახარში—ე.პ. ანდანიმ და დეკ ცინკაშვილმა წარმოსთქვეს სიტყვები. სასალოლო—დრამ. საზ. გამგეობის მხრით—იოსებ ბარათაშვილმა, ქუთაისის დრამ. საზ. მხრით—ჯ. ჯორჯიკიამ, მუშების მხრით—მუშა პიმენაძე, მსახიობი მხრით—ი. ივანიძე და სს. მკვირი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მგოსანმა ნ. ჩიჩკაშვილმა. იყო ოცამდე გვირგვინი, სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან. გლობდა სამი გუნდი, მთელ ხალხს უზომო მწუხარება ემჩნეოდა. მივიღეთ დიდალი სამგლოვიარო დეპეშა.

◆ თბილის ჩამოვიდნენ ბათუმის დასის მსახიობ-რეჟისორი შალვა დიდიანი, მესიქოსი დ. არაყიშვილი და მგოსანი ს. აბაშვილი.

◆ შალვა დიდიანი და ელ. ანდრონიკაშვილი ამ მოკლე ხანში თბილისში წარმოადგენენ ნ. ნ. კაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“

◆ ოზურგეთის თეატრს გახსნიან ხუთშაბათს, 29 მაისს. წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან მსახიობნი ვალ. მესხიშვილი, იუზა ზარდალიშვილი და სხ.

◆ ვალ. გუნიას მეთაურობით შემდგარი ქართველ მსახიობთა ამხანაგობა მაისის მიწურულს ხელახლად გაემგზავრება პრავდინკაში წარმოდგენების სამართად. რეპერტუარი: „ქეთევან წამებული“ და „ოჯახის დაქცევა“.

◆ წმ. ნინოს უბნის—კუკის საკითხველს სასარგებლოდ დილა გაიმართება 26 მაისს სახალხო სახლში.

◆ დასში მოიწივებს მოკარანხელ ბ. ბეგლარიძე.

◆ ქუთაისის დრამ. საზ. გამგეობა უკვე შეუდგა დასის მოწვევას. რეჟისორად იწვევენ ვალ. შალიკაშვილს; განზრახულია მოიწვიონ—ვალ. გუნია, ტასო აბაშიძე, მარო მდივანი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი და სხ. ვ. შალიკაშვილმა წარუდგინა 21 მოთხოვნის მქონე მხატვრული გაუმჯობესების შესახებ; აქედან 14 მუხლი უკვე მიიღო გამგეობამ. 7-ის შესახებ ერთად მოილაპარაკებენ. დეკორაციების დასახატად, ბუტაფორიისა და ტანისამოსის განსახლებლად ამ თავით გადადებულია სამასი თენიანი.

◆ ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „დღინაკვალი“ წარმოადგინეს სახალხო სახლში 16 მაისს. პიესამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

◆ გ ციციჩიძე დღეს ფოთში მიწვეული საქვემოქმედო საღამოში მონაწილეობის მისაღებად.





იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დიხსიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს სვანეთში თანამშრომელ კორესპონდენტები ჰქვას რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მკვლევარნი და მხატვარ-ხელოვნანი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამლევაზე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სონაზის“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, სვამოს 5—7 საათამდე. წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლის, ред. жур. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили. ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებასიღ მიიღება იქვე.

ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის.**

წელიწადი **თეაი** წელიწადი  
მეოთხე მეოთხე

საპოლიტიკო და სალიბერალური გაზეთი  
ბამოლის ორზაბათობით

წლიურნი ხელის მომწერლნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აქაქის პოემა „რაჭა-ლაჩხუმი“, რაჭა-ლეჩხუმში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) 5 პ. ა. ლუბარკის თხზულებას „აზგუსტ ბეზელი“, რომელიც საკუთრად „თემი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი“-ს რედაქციაში (ოღვას ქ., სახ. დიასამიძის, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცემა თბილისს გარეშე 40 კ. მისამართი: Тифლის, Ольгинская № 4, დ. Диасамидзе, редакция газ. „Теми“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

**იმაერთი** ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიბერალური გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით  
წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

სახლვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მსწავლებლებსა და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаись, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. კელიძე

**ბამოლის ჟურნალში 3 მარტიდან ორზაბათობით**

**„ურგა“**

სალიბერალური-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., 3. ფერაძისა და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. სახლვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаись, ред. еженед. груз. газеты „Шрома“.





**პეივი ა. ო. იაფილი**  
 (თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-  
 წილის მკურნალი)  
 შინაგან ავადმყოფობათა.  
 დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.  
 წყნეთის ქ., № 19.

**პეივი ა. ნ. დინასიძე**  
 (ორდინატორი თბილ. სარკინის  
 გზო საავადმყოფოსი)  
 კანის, ვენერული და ათაშხვის  
 შუადღით 1—2 $\frac{1}{2}$  ს., საღამოთ 6—8 ს  
 მოსკოვის ქ. № 4.

**პეივი ივ. ვ. გომარეთელი**  
 შინაგან ავადმყოფობათა  
 დილის 8—12 ს.,  
 საღამოთი 5—7 ს.,  
 ოლგას ქ., № 20,  
 ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

**პეივი ალ. სოლოვაჟილი**  
 იღებს ავადმყოფებს  
 დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.  
 გოლოვინის პრ., № 12



ხელოვნურად სამკურნალო და შეზავებული ხილეულობის წყალი

**პეივი ვ. დ. ლაგაზიძე**  
 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.  
 ვარდის უბნის ქ. № 9.

მიტროფანე ლალიაძე დამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენიდან. წმინდა შა-  
 ქარით, კიმიურად გაწმენდილი მასალებიდან, გამოხდი-  
 ლი და ნადული წყლით.  
**გამოც და სუნი სააფხრი აქვს**

**პეივი ბ. ბ. მაღალაჟილი**  
 შინაგან ავადმყოფობათა  
 დილით 8—10 ს.  
 ოლგას ქ. № 39.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსების-  
 თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-  
 ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-  
 ნალო მმართველობისაგან (№ 5792)

**პეივი ნ. ვ. თიანათაძე**  
 (თბილისის საქალაქო მკურნალი)  
 შინაგან სნეულებათა  
 დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.  
 კიროსნი ქ. № 18.

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ.  
 № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.  
 (20—11)

**პეივი შ. ა. მიქელაძე**  
 შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.  
 საღამოთი 6—7 ს.  
 მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16



**პეივი ბ. ფ. ნათიშვილი**  
 კანისა, ვენერული და სიფილისისა  
 დილით 11 $\frac{1}{2}$ —1 ს., საღამოთი 6—7 ს.  
 მოწვემენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



**პ. ვახტანგ ლაგაზიძის  
 სანატორიუმი**

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე  
 ძალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე  
 დაწვრილებით პირობები მსურველთ  
 გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნი-  
 ლებისათნავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლაგაზიძე  
 ვარდისუბნის ქუჩ. № 9  
 (წ.)

**Воспоминанія**  
 И  
 ХАРАКТЕРИСТИКИ  
 Г. М. ТУМАНОВА

№ 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.  
 Складъ у автора, Барятинская № 6.  
 (5—5)